

## ატმოსფეროს დაბინძურების მეტეოროლოგიური ასპექტები და გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

*მაია ვახტანგიშვილი*

[maia.vakhtangishvili@tsu.ge](mailto:maia.vakhtangishvili@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო, უნივერსიტეტი  
ი. ჭავჭავაძის გამზ. №3, თსუ, მე-II კორპ. თბილისი, 0179, საქართველო

კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა დედამიწაზე მიმდინარე სტიქიურ პროცესებზე XX-XXI საუკუნის აქტუალური პრობლემაა. კლიმატის გლობალურ ცვლილებებში ანთროპოგენური ფაქტორების წილი, როგორც რეგიონალური ისე პლანეტარულ მასშტაბში, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. ტროპოსფეროში გაფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერებები არა მარტო უშუალოდ ზემოქმედებენ ადამიანსა და ეკო სისტემაზე, არამედ ისინი წარმოქმნიან მავნე ნივთიერებებსაც.

გარემოს დაცვა თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რომლის ხარისხობრივ მაჩვენებლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცოცხალი ორგანიზმების არსებობისთვის.

ნაშრომში განხილულია ატმოსფეროს დაბინძურების პრობლემები და მასზე მეტეოროლოგიური პროცესების გავლენა. ნაჩვენებია და განხილულია ძირითადი დამაბინძურებელი წყაროები (მრეწველობა, ავტოტრანსპორტი და სხვა). შესწავლილია მეტეოროლოგიური პირობების გავლენა გარემოს დაბინძურებაზე და დადგენილია კორელაციური კავშირი მეტეოროლოგიურ ელემენტებს და ატმოსფეროს დამაბინძურებელ ინგრედიენტებს შორის, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ატმოსფეროში აეროზოლების დაგროვების პროცესში.

სტატისტიკური დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე შედარებულია ატმოსფეროში ავტოტრანსპორტის მიერ გაფრქვეული ცალკეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი ცვლილებების დინამიკა. ატმოსფეროს ეკოლოგიური მდგომარეობა დამოკიდებულია დაბინძურების წყაროს სპეციფიკურობაზე და სიმძლავრეზე, ადგილის ფიზიკურ, გეოგრაფიულ და მეტეოროლოგიურ პირობებზე და რაც მთავარია, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და ეკოლოგიური განათლების დონეზე.

თბილისისათვის შესწავლილია მიწისპირა ოზონის ცვლილება და მისი სივრცით-დროით განაწილებაზე მეტეოროლოგიური (ქარი, ტენიანობა, ტემპერატურა, მზის რადიაცია) და ეკოლოგიური ფაქტორების გავლენა, დაკვირვების მონაცემების საფუძველზე.

გამოვლენილია ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციასა და ოზონის რაოდენობის ურთიერთკავშირის არსებობა, რომლის მეშვეობითაც, დაბალ ფენებში, ოზონის კონცენტრაციით შეიძლება შეფასდეს ატმოსფეროს დაბინძურების ხარისხი.